ხელშეკრულება N 20

სარეკლამო მასალების დამზადება / მიწოდებაზე

promo shop

თბილისი

2012 წ. 4 სექტემბერი

ერთის მხრივ **სსიპ ქალაქ თბილისის #72 საჯარო სკოლა** (შემდგომში **დამკვეთი**)
მისი დირექტორის - ნათელა ნატროშვილის სახით,
და მეორეს მხრივ შპს „პრომო შოპი" (შემდგომში **შემსრულებელი**)
მისი დირექტორის ლევან მიქაბერიძის სახით,

შეთანხმდით შემდეგზე:
დამკვეთი უკვეთავს და **შემსრულებელი** კისრულობს **დამკვეთს** მიაწოდოს შემდეგი საქმიანი სასაჩუქრე ატრიბუტიკა :

საფირმო მაისური – მაისური კლასიკი, სტანდარტი, თეთრი, Stedman
ფერი – თეთრი
ბეჭდვა – ფერადი ტრანსფერი
ანაბეჭდის ზომა – 200 X 200 მმ
რაოდენობა – 29 ცალი
ერთეულის ფასი – 11.50 ლარი

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა სრული ღირებულება შეადგენს 333.50 (სამას ოცდაცამეტი და 50) ლარს. აღნიშნული თანხა შეცავს გადასახადებს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული თანხის გადახდა წარმოებს შემდეგი წესით:
- სრული სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის, რაც შეადგენს 333.50 (სამას ოცდაცამეტი და 50) ლარს, გადახდა მოხდება პროდუქციის მიწოდების შემდგომ, 3 სამუშაო დღის გამნავლობაში;
- ანგარიშსწორება წარმოებს გადარიცხვის წესით, **შემსრულებლის** მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) საფუძველზე, ლარებში.

შპს „პრომო შოპი"
ჯიქიას ქ. № 8, 0186
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 319 333
ფაქსი: + 995 32 319 339
ელ-ფოსტა: info@promoshop.ge

ხელშეკრულება

სარეკლამო მასალების დამზადება / მიწოდებაზე

promo shop

თბილისი
გვერდი 2

2012 წ. 4 სექტემბერი

შემსრულებელი ვალდებულებას იღებს შეასრულოს აღნიშნულ დაკვეთასთან დაკავშირებული შემდეგი სამუშაოები:

- პროდუქციის საბოლოო დიზაინის შექმნა და მისი დამკვეთთან შეთანხმება;
- **დამკვეთს** მიაწოდოს დაკვეთილი პროდუქცია ოფისში, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, არაუგვიანეს 1 კვირაში;
- წუნის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალოს წუნდებული პროდუქცია წუნის აღმოჩენიდან არაუმეტეს 3 დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით;

ამასთან **დამკვეთი** ვალდებულებას იღებს:

- დროულად მიაწოდოს შემსრულებელს საჭირო მასალები.
- დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, **შემსრულებელი** ვალდებულებას იღებს ჯარიმის სახით გადაუხადოს **დამკვეთს** სრული სახელშეკრულებო თანხის 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავის შემთხვევაში მხარეები ცდილობენ მოლაპარაკებას. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განსჯის მხარეთა მიერ არჩეული მედიატორი. თუ მოლაპარაკება ასეთ შემთხვევაშიც არ შედგა, დავას განსჯის სასამართლო მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ხელშეკრულება შედის ძალაში ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ პირობების სრულ შესრულებამდე. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, აქედან ერთი ეკუთვნის **დამკვეთს**, მეორე - **შემსრულებელს**.

დამკვეთი

სსიპ ქალაქ თბილისის #72 საჯარო სკოლა
ს/კ 204 422 696
საქართველო, თბილისი, გორგასლის ქ. #2
ტელ. : 275 35 60
ბანკი:
ლიბერთი ბანკი

IBAN: GE31LB0121180433930000

ნათელა ნატროშვილი
დირექტორი

შემსრულებელი

შპს „პრომო შოპი"
ს/კ 400 004 366
ჯიქიას 8, 0168, თბილისი
ტელ.:; 31 93 33
ბანკი:
პროკრედიტბანკი;

IBAN: GE80PC0473600100003711

ლევან მიქაბერიძე
დირექტორი

შპს „პრომო შოპი"
ჯიქიას ქ. № 8, 0186
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 319 333
ფაქსი: + 995 32 319 339
ელ-ფოსტა: info@promoshop.ge